



MES 5 23 0001730220



18/12/2023

**უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმი**

ქ. თბილისი

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით **2023 წლის 04 დეკემბერს.**

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

სხდომას ესწრებოდნენ:

**უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში-საბჭო) წევრები:**

- კახა შენგელია** - შპს "კავკასიის უნივერსიტეტის" პრეზიდენტი - საბჭოს თავმჯდომარე;
- ზურაბ ორჯონიკიძე** - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი (კანცლერი) - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
- გაგა გვენეტაძე** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი - საბჭოს მდივანი;
- ნიკა თიკანაშვილი** - ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის საერთაშორისო ურთიერთობების ხელმძღვანელი, შპს "საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის" საინჟინრო ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი;
- ნინო იმნაძე** - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
- გია ლობჯანიძე** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს წევრი, ზოგადი ქირურგიის კათედრის ხელმძღვანელი, პროფესორი;
- ელენე ჟურავლოვა** - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, ამავე ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

**ლელა სალაცია** - ა(ა)იპ - ადამიანური რესურსების მართვის პროფესიონალთა ასოციაციის სენატის წევრი, შპს "ვიონი საქართველოს" პერსონალთა მუშაობისა და ადმინისტრაციულ საქმეთა დირექტორი, დამსაქმებელი;

**გაიანე სიმონია** - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამედიცინო განათლების, კვლევისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის ხელმძღვანელი, გერიატრიის დეპარტამენტის პროფესორი;

**კონსტანტინე სირბილაძე** - სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;

**ანა ფირცხალაშვილი** - შპს "საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ს" სამეცნიერო კვლევების მიმართულებით ვიცე-რექტორი.

**სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში-ცენტრი)**

**წარმომადგენლები:**

1. **ლალი ოდიშვილი** - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი;
2. **ანი ბილანიშვილი** - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
3. **სოფიკო ქურასბედიანი** - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
4. **ანა ჯუღელი** - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
5. **ქეთევან ინანაშვილი** - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე;
6. **ნიკოლოზ ფარჯანაძე** - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
7. **ლაშა მარგიშვილი** - დირექტორის მოადგილე.

**უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:**

**ა(ა)იპ - მართლმადიდებლური საღვთისმეტყველო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება** - გიორგი მთაწმინდელის სახელობის საეკლესიო გალობის უმაღლესი სასწავლებელი:

1. **მამა იოანე (სილევან) კიკვაძე** - რექტორი;
2. **ნანა გოთუა** - ადმინისტრაციის ხელმძღვანელი;
3. **თამარ ჩხეიძე** - ფაკულტეტის დეკანი;
4. **ეკატერინე ყაზარაშვილი** - სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი;
5. **სოფიკო ბერაია** - ადამიანური რესურსების მართვის სპეციალისტი;
6. **ნატალია ყველიაშვილი** - იურისტი;
7. **ბესიკ მელაშვილი** - ფინანსური სამსახური;
8. **რუსუდან თაბაგარი** - საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი;
9. **ბექა შარვაძე** - IT მენეჯერი;
10. **მიხეილ მელაძე** - უსაფრთხოების მენეჯერი.

**შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი:**

1. **ზაზა რუხაძე** - ვიცე-პრეზიდენტი;

2. ქეთევან ჯინჭარაძე - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი;
3. კარლო მათითაშვილი - მედიცინის სკოლის დეკანი;
4. გიორგი გაბისონია - მედიცინის სკოლის ვიცე-დეკანი;
5. გაია ქოფოია - სტრატეგიული განვითარების სამსახურის ხელმძღვანელი.

**უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში -ექსპერტები):**

- პანტელის იპსილანტისი (Pantelis Ypsilantis);
- რუსუდან თაყაიშვილი;
- თამარ ძველაია;
- დიანა მჭედლიშვილი;
- დავით ტეფნაძე;
- სალომე ვორონოვი;
- ელენე გიგინეიშვილი;
- დავით სიხარულიძე;
- დავით კაკიაშვილი.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 74-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, საბჭოს უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ, კახა შენგელიამ.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრების რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 74-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 77-ე მუხლის მე-5 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

**საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:**

1. ა(ა)იპ - მართლმადიდებლური საღვთისმეტყველო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება - გიორგი მთაწმინდელის სახელობის საეკლესიო გალობის უმაღლესი სასწავლებლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
2. შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტისთვის სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვა.

**შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით**

- არა

**დამტკიცებული დღის წესრიგი:**

1. ა(ა)იპ - მართლმადიდებლური საღვთისმეტყველო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება - გიორგი მთაწმინდელის სახელობის საეკლესიო გალობის უმაღლესი სასწავლებლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
2. შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტისთვის სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვა.

**სხდომის დაწყების დრო: 14:00**

**სხდომის დასრულების დრო: 15:12**

**1. ა(ა)იპ - მართლმადიდებლური საღვთისმეტყველო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება - გიორგი მთაწმინდელის სახელობის საეკლესიო გალობის უმაღლესი სასწავლებლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა**

უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომელმა ზუმის (Zoom Meeting) საშუალებით ჩართო ექსპერტები და დაწესებულების წარმომადგენლები.

**საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.**

**საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება**

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

**ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება**

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ საავტორიზაციო მასალებს, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

**საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხთან მიმართებით.**

საერთაშორისო ექსპერტი, პანდელის იპსილანდისი მიესალმა ავტორიზაციის საბჭოს წევრებს და აღნიშნა, რომ შეფასება ეხებოდა ისეთი ტიპის დაწესებულებას, რომელიც ამჟამად მოქმედებს ა(ა)იპ - მართლმადიდებლური საღვთისმეტყველო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება - გიორგი მთაწმინდელის სახელობის საეკლესიო გალობის უმაღლესი სასწავლებლის სახელით, ახორციელებს საღვთისმეტყველო უმაღლეს საგანმანათლებლო

პროგრამებს, ხოლო ამჟამად დაწესებულებას სურდა ავტორიზაციის პროცესი გაეწყო, როგორც არასადვისმეტყველო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას. ავტორიზაციის მაძიებლის სურვილი იყო, განეხორციელებინა, როგორც საბაკალავრო, ისე სამაგისტრო პროგრამები. ამ მოსაზრებას იზიარებს ყველა დაინტერესებული მხარე, რომელიც ჩართულია პროცესში.

საერთაშორისო ექსპერტის შეფასებით, დაწესებულების მისია კონცენტრირებულია, როგორც ღირებულებების გავრცელებაზე, ისე გალობის მიმართულებით სტუდენტების მომზადებაზე. ის პროგრამები, რომლებსაც ამჟამად ახორციელებს უნივერსიტეტი დაკავშირებულია ფოლკლორულ მუსიკასთან და გალობასთან. უნივერსიტეტის გეგმა არის ის, რომ ფუნქციონირება დაიწყოს სამუსიკო სფეროს პროგრამის განხორციელებით და მომავალში სხვა პროგრამებიც განახორციელოს. ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებით, დაწესებულებას აქვს იმის რესურსი და შესაძლებლობა, რომ დაგეგმილი პროგრამები განახორციელოს.

პანდელის იპსილანდისმა განაცხადა, რომ დაწესებულებაში არის მჭიდროდ დაკავშირებული საუნივერსიტეტო საზოგადოება, რომელიც მკაფიოდ უჭერს მხარს მიმდინარე ინიციატივებს. დაწესებულებას აქვს საერთაშორისო კავშირები და გეგმავს გარე ურთიერთობების გაფართოებას იმ მიმართულებით, რა მიმართულებითაც სურს, რომ განახორციელოს საგანმანათლებლო საქმიანობა. მისი თქმით, ყველა ის მოცემულობა, რომელიც უკავშირდება სასწავლო უნივერსიტეტის, როგორც უსდ-ს ფუნქციონირებას, ჯერ-ჯერობით არის პროექტის დონეზე, რადგან დაწესებულებას არ აქვს გავლილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვების პროცედურა - ავტორიზაცია. დაწესებულება, ფინანსდება საქართველოს საპატრიარქოს მიერ, თუმცა ის მუშაობს დამატებითი კვლევითი ფინანსების მოპოვებაზე სხვადასხვა ორგანიზაციებიდან.

საერთაშორისო ექსპერტმა აღნიშნა, რომ სასწავლო უნივერსიტეტის ამჟამინდელი მოცემულობა უზრუნველყოფს სტუდენტების უფასო სწავლებას. ამით უნივერსიტეტს წვლილი შეაქვს კულტურული ღირებულებების განვითარებაში.

ექსპერტმა რუსუდან თაყაიშვილმა განაცხადა, რომ ბევრ უნივერსიტეტს აქვს თანამშრომლობა აღნიშნულ სასწავლებელთან. ეს თანამშრომლობა არის მჭიდრო და სასარგებლო, რომელიც საინტერესო პროექტებით და ინტერესით არის განმსჭვალული. ერთ-ერთი აქტუალური პროექტია პენიტენციურ სისტემასთან თანამშრომლობა. მან ხაზი გაუსვა იმას, რომ სტუდენტები რეგიონებიდან ჩამოდიან აღნიშნულ უნივერსიტეტში სასწავლებლად. სწავლის დასრულების შემდეგ მათ კარგი თანამშრომლობა აქვთ უნივერსიტეტთან. ზოგიერთი მათგანი დასაქმებულიც კი არის დაწესებულებაში.

ექსპერტმა თამარ ძველაიამ აღნიშნა, რომ პერსონალი დარგის პროფესიონალი სპეციალისტები არიან. მისი თქმით, თითოეული სტუდენტი დიდ პატივისცემას გამოხატავს აკადემიური პერსონალის მიმართ, რაც დასაფასებელია. მან ხაზი გაუსვა, რომ დაწესებულებას აქვს სტუდია, სადაც იწერება მაღალი ხარისხის დისკები. გარდა ამისა, უნივერსიტეტი გამოსცემს სტატიათა კრებულებს და სახელმძღვანელოებს და მუდმივად ზრუნავს აკადემიური და მოწვეული პერსონალის განვითარებაზე.

ექსპერტმა დავით ტეფნაძემ მეხუთე სტანდარტის რეკომენდაციებთან დაკავშირებით განაცხადა, რომ ინტერვიუებისას იყო საუბარი რეგულაციებზე, თუმცა დაწესებულების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ის პროექტი არ იყო წარმოდგენილი, რომელზეც არგუმენტირებულ პასუხში მოხდა აპელირება. შესაბამისად, ექსპერტების მიერ შემოწმდა ის დოკუმენტები, რომლებიც ხელმისაწვდომი და წარმოდგენილი იყო საავტორიზაციო განაცხადში.

**საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ თავიანთი პოზიცია.**

უნივერსიტეტის რექტორი, მამა იოანე (სილევან) კიკვაძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას. მადლობა გადაუხადა საბჭოს წევრებს, ექსპერტებს და დაინტერესებულ მხარეებს საგანმანათლებლო პროცესებში მონაწილეობისთვის და იმედი გამოთქვა, რომ უნივერსიტეტს მიეცემოდა საშუალება ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი საქმიანობა განეხორციელებინა. ამის შემდეგ რექტორმა სიტყვა გადასცა დაწესებულების ადმინისტრაციის ხელმძღვანელსა და ფაკულტეტის დეკანს და აღნიშნა, რომ უშუალოდ ექსპერტთა მიერ გაცემული შეფასებების შესახებ ისინი ისაუბრებდნენ.

დაწესებულების წარმომადგენელი, ნანა გოთუა მიესალმა ავტორიზაციის საბჭოს წევრებს და მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს გაწეული შრომისთვის. მან განაცხადა, რომ უნივერსიტეტი რეკომენდაციათა უმეტეს ნაწილს ეთანხმება, თუმცა არის რამდენიმე რეკომენდაცია, რომლებზეც დაწესებულებას განსხვავებულა მოსაზრება გააჩნია. პირველ და მეორე რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ სამოქმედო გეგმაში და ბიუჯეტში იყო ტექნიკური ხარვეზი, რომელიც უნივერსიტეტმა გამოასწორა.

თამარ ჩხეიძემ აღნიშნა, რომ ექსპერტების მიერ გაცემული რეკომენდაციები ორიენტირებული იყო პროგრამის განვითარებაზე. მისი თქმით, ავტორიზაციის სტანდარტების შესრულება საღვთისმეტყველო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისთვის იყო შეუძლებელი საკანონმდებლო შეზღუდვებიდან გამომდინარე. შესაბამისად, რეკომენდაციების უმეტესი ნაწილი ეხება დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანას. მეხუთე სტანდარტთან დაკავშირებული რეკომენდაციები ეხებოდა მობილობის პროცედურის შეტანას მარეგულირებელ დოკუმენტში, სტუდენტური თვითმმართველობის ჩამოყალიბებას და გასაჩივრების რეგულაციის გაწერას. მისი თქმით, დაწესებულებას გააჩნია ორი დოკუმენტი. ერთია ის დოკუმენტი, რომლითაც დაწესებულება ამჟამად ფუნქციონირებს, ხოლო მეორე დოკუმენტი პროექტების სახით არის წარმოდგენილი. კანონმდებლობის შესაბამისად, საღვთისმეტყველო დაწესებულების სტუდენტებს მობილობის უფლება შეზღუდული ჰქონდათ და მხოლოდ საღვთისმეტყველო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში შეეძლოთ გადასვლა. პროექტის სახით წარმოდგენილი დოკუმენტი ძალაში შევა ახალი წესდების დამტკიცების შემდეგ, რომელიც მოიცავს, როგორც მობილობის, ისე გასაჩივრების წესს. ექსპერტებს არ გამოუთხოვიათ ახალი მარეგულირებელი წესის დოკუმენტი და შესაძლებელია ამის გამო მოხდა აღნიშნული რეკომენდაციის გაცემა. ექსპერტთა დასკვნაში მოცემული მე-17 რეკომენდაცია შეიცავს ტექნიკურ ხარვეზს კერძოდ, „მიღებულ იქნას ჩუბინაშვილის ქ. 49-ში არსებული შენობის ავარიულ გასასვლელთან დაკავშირებით ზომები“. მისი თქმით, რეკომენდაციაში მოცემული იურიდიული მისამართი სწორია, თუმცა, იქ დაწესებულების შენობა არ მდებარეობს.

დაწესებულების იურისტმა, ნატალია ყველიაშვილმა განაცხადა, რომ ერთ-ერთ რეკომენდაციაში მოცემულია შემდეგი: „ყველა მნიშვნელოვანი სტრუქტურული ერთეული ჩაერთოს გადაწყვეტილების მიღების პროცესში“. მისი თქმით, დაწესებულებას ამჟამად აქვს ერთი ფაკულტეტი, რომლის შემადგენლობაშია ფაკულტეტის საბჭო. სასწავლო უნივერსიტეტი გარკვეული დროის განმავლობაში შეზღუდული იყო სტუდენტური თვითმმართველობის შექმნითა და აკადემიური პერსონალის შეფასებით. შესაბამისად, პროექტის სახით წარდგენილ წესდებაში სამომავლოდ მოხდება იმის გათვალისწინება, რომ სტუდენტები აირჩევენ წარმომადგენლებს, რომლებიც შევლენ ფაკულტეტის საბჭოში. აღნიშნული რეკომენდაცია შესრულდება მაშინ, როდესაც დაწესებულება მიიღებს ავტორიზაციას. გარდა ამისა, სამომავლოდ იგეგმება აკადემიური საბჭოს შექმნა, რომლის თავმჯდომარე იქნება რექტორი, ხოლო წევრები აკადემიური პერსონალი და სტუდენტები. ნატალია ყველიაშვილმა განაცხადა, რომ დასკვნაში წერია შემდეგი: „სტუდენტების მხარდაჭერა, კარიერული განვითარება და დასაქმების სერვისები სტრუქტურაში არ განიხილება როგორც ცალკე ერთეული.“ მისი თქმით, დაწესებულება გეგმავს რომ ცალკე ერთეულად გამოყოს სტრუქტურაში სტუდენტების მხარდაჭერა, კარიერული განვითარება და დასაქმების სერვისები. შესაბამისად, უნივერსიტეტი აღნიშნულ რეკომენდაციას იზიარებს. რამდენიმე რეკომენდაცია ეხებოდა ყველა რეგულაციის

ამოქმედებას, რომელიც პროექტის სახით არის მიღებული. მისი თქმით, ყველა რეგულაცია, რომელიც პროექტის სახით არის მიღებული ამოქმედდება ავტორიზაციის სტატუსის მოპოვების შემდეგ.

### **საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს არსებობის შემთხვევაში დაესვათ შეკითხვები.**

საბჭოს წევრმა ანა ფირცხალაშვილმა კითხვა დაუსვა დაწესებულებას. მისი თქმით, დაწესებულება ამჟამად ფუნქციონირებს სასწავლო უნივერსიტეტის სტატუსით. მას აინტერესებდა, დაწესებულებას განაცხადი უნივერსიტეტის თუ სასწავლო უნივერსიტეტის სტატუსზე აქვს გაკეთებული. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ საუბარია სასწავლო უნივერსიტეტზე იმიტომ, რომ დაწესებულებაში ფუნქციონირებს, როგორც საბაკალავრო, ისე სამაგისტრო საფეხური.

საბჭოს წევრმა ნიკა თიკანაშვილმა კითხვა დაუსვა დაწესებულებას. მას აინტერესებდა, რა არის ის გონივრული ვადა, რომლის განმავლობაშიც შესრულდება ექსპერტთა მიერ გაცემულ რეკომენდაციები.

თამარ ჩხეიძემ აღნიშნა, რომ სტრატეგიული განვითარების გეგმა და სამოქმედო გეგმა დაწესებულებას დაეხმარა სამართლებრივი პრობლემების გადაჭრაში. ავტორიზაციის საბჭოს მიერ მიღებული დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში მოხდება წესდების რეგისტრაცია საჯარო რეესტრში და ყველა რეგულაციის დამტკიცება, თუმცა არის მოცულობითი რეგულაციები, რომლებიც გარკვეული მექანიზმების ამოქმედებას გულისხმობს. მისი თქმით, მოკლე დროში მოხდება ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულება.

ლაშა მარგიშვილმა დაწესებულების ავტორიზაციასთან დაკავშირებულ სამართლებრივ საკითხთან დაკავშირებით გააკეთა განმარტება. ლაშა მარგიშვილმა აღნიშნა, რომ დაწესებულებამ საავტორიზაციო განაცხადი ცენტრში წარადგინა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებით“ დადგენილი წესის შესაბამისად. შესაბამისად, საავტორიზაციო განაცხადის შეფასება განხორციელდა აღნიშნული ნორმატიული აქტით გათვალისწინებული პროცედურების დაცვით. ამასთან, აღსანიშნავი იყო ის გარემოება, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის 10/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესისა და საფასურის“ მე-10 მუხლის მე-8 პუნქტის მიხედვით, მართლმადიდებლურ საღვთისმეტყველო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულების უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებად რეორგანიზაციის/გარდაქმნის შემთხვევაში, მართლმადიდებლურ საღვთისმეტყველო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში რეორგანიზაციამდე/გარდაქმნამდე კანონმდებლობით დადგენილი წესით ჩარიცხული სტუდენტი ჩაითვალოს რეორგანიზაციის/გარდაქმნის შედეგად შექმნილი უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტად. ამ პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში სტუდენტი არ სარგებლობს სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მობილობის ან შიდა მობილობის უფლებით, გარდა მართლმადიდებლური საღვთისმეტყველო უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამისა. აღნიშნული სტუდენტები სარგებლობენ მხოლოდ სხვა მართლმადიდებლურ საღვთისმეტყველო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მობილობის უფლებით. შესაბამისად, იმ შემთხვევაში, თუკი, ავტორიზაციის მაძიებელს ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით მიენიჭებოდა ავტორიზაცია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებით“ გათვალისწინებული სტანდარტებისა და პროცედურების გათვალისწინებით, საღვთისმეტყველო უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებოდა ე.წ. „მიღევად რეჟიმში“. რაც გულისხმობდა, რომ საღვთისმეტყველო საგანმანათლებლო

პროგრამებზე (საეკლესიო მუსიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა - 241 ECTS; საეკლესიო მუსიკათმცოდნეობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა - 125 ECTS) ჩარიცხული სტუდენტებს ექნებოდათ შესაძლებლობა სწავლა დაესწრულენ ადნიშნულ პროგრამებზე და ახალი სტუდენტების მიღებას დაწესებულება ადნიშნულ პროგრამებზე ვეღარ შეძლებდა. გარდა ამისა, სტუდენტები, რომლებიც ადნიშნულ პროგრამებზე სწავლობენ არ ექნებათ გარე და შიდა მობილობის უფლება.

### **საბჭოს თავმჯდომარემ გამოაცხადა სათათბირო შესვენება**

**შესვენების დაწყების დრო: 14:45**

**შესვენების დასრულების დრო: 14:55**

საავტორიზაციო განაცხადის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე ავტორიზაციის მაძიებლის მიერ ცენტრისათვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე, სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ გაიზიარა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში ასახული შეფასება.

**საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:** ა(ა)იპ - მართლმადიდებლური საღვთისმეტყველო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება - გიორგი მთაწმინდელის სახელობის საეკლესიო გალობის უმაღლესი სასწავლებლისთვის 6 წლის ვადით ავტორიზაციის მინიჭების (სასწავლო უნივერსიტეტი) და სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 150-ით განსაზღვრის საკითხი.

### **კენჭისყრის შედეგი:**

მომხრე: 11

წინააღმდეგი: 0

**გადაწყვეტილება:** უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 56<sup>1</sup> მუხლის მე-3 პუნქტის, 56<sup>2</sup>-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 56<sup>3</sup> მუხლის პირველი და მეორე პუნქტების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 77-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 79-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, მე-5 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 88-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე, ა(ა)იპ - მართლმადიდებლურ საღვთისმეტყველო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულება - გიორგი მთაწმინდელის სახელობის საეკლესიო გალობის უმაღლეს სასწავლებელს (ს/კ: 404924310) მიენიჭოს ავტორიზაცია (სასწავლო უნივერსიტეტი) 6 წლის ვადით და სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს - 150 - ით. გაცემული რეკომენდაციების შესრულების გადამოწმების მიზნით, დაწესებულებამ 1 წლის თავზე ცენტრში წარმოადგინოს ანგარიში და ორი წლის ვადაში დაწესებულებაში განხორციელდეს მონიტორინგის ჯგუფის ვიზიტი.

### **საბჭოს მიერ განსაზღვრული რეკომენდაციები:**



1. უზრუნველყოფილი იქნას შესაბამისობა სტრატეგიულ გეგმას, სამიზნე ინდიკატორებსა და უნივერსიტეტის ბიუჯეტს შორის;
2. სამოქმედო გეგმაში ჩართეთ აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალის დასაქმების დებულებები და ამოცანები;
3. რეკომენდებულია ყველა მნიშვნელოვანი სტრუქტურული ერთეული ჩაერთოს გადაწყვეტილების მიღების პროცესში;
4. როლებისა და მოვალეობების ეფექტური და გამჭვირვალე განაწილების უზრუნველსაყოფად, რეკომენდებულია, უმაღლესმა სასწავლებელმა გადახედოს თავის ორგანიზაციულ წესდებას და სტრუქტურული ერთეულების დებულებებს მათ განხორციელებამდე ისე, რომ გარანტირებული იყოს საქმიანობის ოპტიმიზაცია.
5. უზრუნველყავით, რომ ყველა რეგულაცია, რომელიც ამჟამად დამტკიცებულია პროექტების სახით, პრაქტიკაში განხორციელდება.
6. უზრუნველყავით, რომ ხარისხის უზრუნველყოფის ფილოსოფია, ხარისხის კონტროლისგან განსხვავებით, გამოიყენება საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების მთელი პროცესის განმავლობაში.
7. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მუშაობის გაუმჯობესების მიზნითა და უნივერსიტეტში მაღალი ხარისხის კულტურის ჩამოყალიბების ხელშესაწყობად, განახორციელეთ დაგეგმილი ხარისხის პოლიტიკა და შიდა მექანიზმები.
8. უზრუნველყავით, რომ სტუდენტური ორგანოს დაგეგმვის მეთოდოლოგია ითვალისწინებს დაწესებულების მიერ დამტკიცებულ გაზომვად ინდიკატორებსა და სამიზნე ნიშნულებს.
9. ქრისტიანობის ისტორიის პროგრამის ფარგლებში მინიჭებული კვალიფიკაცია უნდა ფორმულირდეს, როგორც ქრისტიანობის ისტორიის მაგისტრი (MA in History of Christianity) და შესაბამისად იქნას მითითებული დოკუმენტაციაში ორივე ენაზე. უზრუნველყოფილი იქნას პროგრამის სახელწოდებასა და შინაარსს შორის შესატყვისობა.
10. პროგრამებში უნდა გაძლიერდეს პედაგოგიური ელემენტი, რათა პროგრამები შეესაბამებოდეს უნივერსიტეტის ხედვას.
11. განახორციელეთ აკადემიური და მოწვეული პერსონალის აკადემიური, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი საქმიანობის შეფასების და პროფესიული განვითარების წესი და ამ ფარგლებში შემოღებულ იქნას პოლიტიკა, რომლითაც აკადემიური პერსონალის თითოეულ წევრს მოეთხოვება წარადგინოს უსდ-ს პერსონალური განვითარების წლიური გეგმა და დაეთანხმოს მას; ეს სავალდებულოა ორივე მხარისათვის.
12. რეკომენდებულია რეგულაციაში მობილობის პროცედურის შეტანა.
13. უზრუნველყოფილი იქნეს სტუდენტური თვითმმართველობის ჩამოყალიბება.
14. რეკომენდებულია რეგულაციაში გაიწეროს გასაჩივრების პროცედურა.
15. რეკომენდებულია, რომ დაწესებულებამ გაზარდოს აქტივობები სტუდენტების საერთაშორისო გაცვლით და მობილობის პროგრამებთან დაკავშირებით.
16. გაიზარდოს საერთაშორისო თანამშრომლობა და ჩართულობა თანამედროვე კვლევებში; რეკომენდებულია, რომ გაძლიერდეს ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა და დამატებით გაცვლით პროგრამებზე პერსონალისა და სტუდენტების ხელმისაწვდომობა.
17. განაახლეთ ობიექტები თამარაშვილის 6-ში, რათა შეიქმნას უფრო სასიამოვნო გარემო სტუდენტებისა და პერსონალისათვის.
18. შეიმუშავეთ ოფიციალური ყოვლისმომცველი IT მენეჯმენტის პოლიტიკა, როგორც 7.3 სტანდარტის ნარატიულ ნაწილშია აღწერილი.
19. უზრუნველყოფილი იქნას დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა კონკრეტული ვადის დაწესებით, როდესაც დასრულდება საპილოტე გამოცდები და მოხდება ელექტრონულ სისტემაზე გადასვლა. უზრუნველყოფილი იქნას ყველა ადმინისტრაციული პერსონალის გადამზადება გადასვლის თარიღამდე.

20. დარწმუნდით, რომ IS მონაცემების სარეზერვო ასლები მუდმივად ინახება და მონაცემები დაცულია. განიხილეთ Cloud-ის გამოყენება, როგორც პარალელური სარეზერვო სისტემა.

### **საბჭოს მიერ განსაზღვრული რჩევები:**

1. განიხილეთ ადგილობრივ პროფესიონალებთან თანამშრომლობის ინსტიტუციონალიზაცია, „პროფესიული საკონსულტაციო კომიტეტის“ ორგანოს ჩამოყალიბება, უსდ-ის დამფუძნებლებთან და უმაღლესი ადმინისტრაციის ორგანოებთან.
2. სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების განსახორციელებლად, უზრუნველყავით მონიტორინგისა და რეაგირების მექანიზმების დანერგვა, როგორც ეს აღწერილია.
3. ამოქმედდეს დოკუმენტების ელექტრონული დამუშავების სისტემა.
4. გაზარდეთ ინფორმირებულობა და თავიდან აიცილეთ აკადემიური არაკეთილსინდისიერება; დარწმუნდით, რომ აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპები გამოიყენება და გადანაწილებულია უნივერსიტეტის საზოგადოებაში.
5. პროგრამის დაგეგმვისა და განხილვის პროცესში გაითვალისწინეთ შედარება მსგავს პროგრამებთან საქართველოში და საერთაშორისო დონეზე, რაც ასევე ხელს შეუწყობს ინსტიტუტის პოტენციალის გაზრდას საერთაშორისო კავშირებისა და თანამშრომლობის გაზრდის მიზნით.
6. სწავლების მეთოდები, რომლებიც დასახელებულია სასწავლო გეგმებში, ასევე უნდა იყოს აღწერილი სილაბუსებში მათი განხორციელების შესახებ უფრო დეტალური ინფორმაციით.
7. სასურველია ყველა დაქირავებული პირის (თანამშრომლის) თანამდებობა ჩანდეს შესაბამის CV-ში. 8. სასურველია, მისაღებ სტუდენტთა რაოდენობის ზრდასთან ერთად, უნივერსიტეტმა გაზარდოს სრულ განაკვეთზე მომუშავე აკადემიური პერსონალის რაოდენობა და შეამციროს მოწვეული კადრების საჭიროება. ასევე, უნდა მოხდეს მეტი პროფესორის წახალისება საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებაში მონაწილეობის მისაღებად.
9. სასურველია, უნივერსიტეტმა განიხილოს, როგორ წახალისოს მეტი აკადემიური პერსონალი აფილირებულის სტატუსის მოსაპოვებლად. გამოაქვეყნეთ უპირატესობები, რომლებსაც სთავაზობს აფილირება, როგორცაა პროფესიული განვითარების უწყვეტი შესაძლებლობები და მათი კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობა.
10. გადახედეთ აკადემიური პერსონალის დატვირთვის წესს, რომელიც მორგებული უნდა იყოს უნივერსიტეტის პერსონალზე, რომლებმაც ხელი მოაწერეს აფილირების ხელშეკრულებას.
11. ხელი შეუწყვეთ კურსდამთავრებულთა რეგიონული ჰაბების ჩამოყალიბებას, რათა მოამზადონ აპლიკანტები მისაღები გამოცდებისთვის.
12. იფიქრეთ დაწესებულების გუნდის აღდგენის შესახებ, რომელმაც შეწყვიტა საქმიანობა Covid-ის პერიოდის შემდეგ.
13. უნივერსიტეტმა ხელი უნდა შეიწყოს კურსდამთავრებულებს კურსდამთავრებულთა ფორმალური ასოციაციის ჩამოყალიბებაში.
14. გაითვალისწინეთ სტუდენტების მოთხოვნა კაფეტერიის არსებობის შესახებ.
15. ბიბლიოთეკამ რეგულარულად მოამზადოს მოხსენება იმის შესახებ, თუ რამდენად იყენებენ აკადემიური და მოწვეული პერსონალი ონლაინ მონაცემთა ბაზებს, რომლებიც გამოწერილი აქვს უნივერსიტეტს და წარუდგინოს ეს ანგარიში ფაკულტეტის საბჭოს.
16. ბიბლიოთეკამ რეგულარულად უნდა შეაგროვოს ინფორმაცია მომხმარებელთა გამოკითხვის შედეგებისა და მოხმარების მონაცემების შესახებ, თუ რამდენად მოიხმარს აკადემიური პერსონალი (მოწვეული პერსონალის ჩათვლით) და სტუდენტები მის მომსახურებებს და როგორ ხედავენ სამომავლო განვითარების საჭიროებებს.
17. დაასრულეთ უნივერსიტეტის ვებგვერდის ინგლისურენოვანი ვერსიის შემუშავება, ყველა საჭირო ინფორმაციით უნივერსიტეტის საერთაშორისო დონეზე წარდგენისათვის.

18. გადახედეთ შემოსავალებსა და ხარჯებს, როდესაც მეტი ინფორმაცია გახდება ხელმისაწვდომი ახალი პროგრამების შეთავაზების შესახებ, აკადემიური და მოწვეული პერსონალის საჭიროებების და ჩარიცხული სტუდენტების მოსალოდნელი რაოდენობის გათვალისწინებით.

19. გაიზარდოს ბიუჯეტი კვლევებისა და ინტერნაციონალიზაციისთვის სასწავლო უნივერსიტეტის მისიისა და ხედვის მხარდასაჭერად.

## **2. შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტისთვის სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვა**

უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომელმა ზუმის (Zoom Meeting) საშუალებით ჩართო ექსპერტები და დაწესებულების წარმომადგენლები.

**საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.**

**საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება**

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

**ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება**

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ ცენტრში წარდგენილ განაცხადს, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

**საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხთან მიმართებით.**

ექსპერტი სალომე ვორონოვი მიესალმა ავტორიზაციის საბჭოს წევრებს და აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი უნივერსიტეტში განხორციელდა 2023 წლის 11 და 12 სექტემბერს სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდასთან დაკავშირებული შეფასების პროცესის განხორციელების მიზნით. მისი თქმით, დაწესებულების მიმართ გაიცა ხუთი რეკომენდაცია. უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის შემდეგ ერთი რეკომენდაცია გადავიდა რჩევაში, ხოლო ერთი მოიხსნა.

ექსპერტმა დამსწრე წევრებს გააცნო რეკომენდაციების ფარგლები:

რეკომენდებულია დაწესებულებამ გადახედოს მის მიერ შემუშავებულ სამიზნე ნიშნულებს პერსონალის მართვის ნაწილში სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის მატების მეთოდოლოგიის შემუშავებისას მედიცინის მიმართულებით და მოიყვანოს შესაბამისობაში. გარდა ამისა, რეკომენდებულია მოხდეს ბიუჯეტის მიზნობრივი გაწერა ფაკულტეტების მიხედვით, რომელშიც აუცილებლად უნდა აისახოს სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაზე გამოყოფილი თანხის ოდენობა. ასევე, რეკომენდებულია უნივერსიტეტის მხრიდან კლინიკური უნარების სასწავლო ფართში ელექტრონული მართვის და საგამოცდო პროცესის მონიტორინგის სისტემის გაუმჯობესება.

## **საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ თავიანთი პოზიცია.**

დაწესებულების წარმომადგენელი, ზაზა რუხაძე მიესალმა ავტორიზაციის საბჭოს წევრებს და მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს გაწეული შრომისთვის. მან განაცხადა, რომ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდა არ არის დაკავშირებული უნივერსიტეტის პოლიტიკასთან, არამედ დაკავშირებულია მედიცინის მიმართულებით აბიტურიენტთა დიდ მომართვიანობასთან.

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა გიორგი გაბისონიამ განაცხადა, რომ მედიცინის ახალი დარგობრივი მახასიათებელი ამოქმედდა ერთი წლის წინ. უნივერსიტეტს დასჭირდა გადახედვა მარეგულირებელი დოკუმენტის, რომელიც დიდი დახმარებას უწევს მას სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრაში. მისი თქმით, მარეგულირებელი დოკუმენტში შევიდა სპეციფიკური საკითხები და ელემენტები, რომლებიც გამოწვეული იქნა დარგობრივი მახასიათებლით. მან აღნიშნა, რომ დაწესებულებამ ჩაატარა მედიცინის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება. შეფასების შედეგად დადგინდა, რომ სტუდენტთა 55%-ი სასწავლო დროს ატარებს კლინიკურ ბაზებში და სხვა ლაბორატორიულ სივრცეში, ხოლო 45% სასწავლო დროს უნივერსიტეტის ფარგლებში ატარებს. შესაბამისად, გათვლებში შესატანია დამატებითი ელემენტები, რომელიც ითვალისწინებს პარტნიორი კლინიკების რაოდენობას, დატვირთვის შესაძლებლობას, პაციენტთა ბრუნვას, პარტნიორ კლინიკებში არსებული სასწავლო ფართების მოცულობასა და არსებული პერსონალის დატვირთვას კვირის ფარგლებში. აღნიშნული დამატებითი ელემენტებით მოხდა სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრა.

დაწესებულების წარმომადგენელმა გია ჩხოვიამ განაცხადა, რომ მედიცინის არსებული მოდელი არ წარმოადგენს ახალ მოდელს, არამედ ის არის ზოგადსაუნივერსიტეტო მოდელის კერძო შემთხვევა. მისი თქმით, ზოგად მოდელში წარმოდგენილი არის სამი კომპონენტი, რომელთაგან პირველი კომპონენტი არსებითად განსაზღვრავს და ადგენს სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას ზედა ზღვრის ფართობის საფუძველზე. დანარჩენი ორი კომპონენტი არის მაკორექტირებელი ინდექსი, რომელიც ზედა ზღვარს აკორექტირებს აკადემიური პერსონალის და შესაბამისი კომპიუტერული პროგრამებით აღჭურვილი კომპიუტერების საფუძველზე. ფართობის მოდელში ფართობს უკავია ზედა ზღვრის პირველადი განმსაზღვრელის როლი, რომელიც განპირობებულია იმით, რომ ფართობი სხვა ცვლადებთან შედარებით მეტ-ნაკლებად ინვარიანტულია. მისი თქმით, მედიცინის პროგრამაში დამატებულია მეოთხე კომპონენტი კერძოდ, „ოთახი ექიმის ცნება“, რომელიც არის ახალი ცვლადი მოდელი. მოდელი ცხადყოფს სწორედ შესაბამისობაში მოყვანას აკადემიური პერსონალის გათვალისწინებით. უნივერსიტეტის ფართობის და ოთახი ექიმის გათვალისწინებით, დაწესებულებას აქვს შესაძლებლობა მედიცინის პროგრამაზე 1441 სტუდენტს მიაწოდოს ხარისხიანი საგანმანათლებლო სერვისი. მან ხაზი გაუსვა იმას, რომ აკადემიურ პერსონალის რაოდენობა შესაბამისობაშია სტუდენტთა ზღვრული რაოდენობასთან. საბჭოს წევრმა გაიანე სიმონიამ განაცხადა, რომ არცერთი სტანდარტი არ

ითვალისწინებს იმპერატიულად იმას, რომ დაწესებულებას გააჩნდეს ელექტრონული მართვის და საგამოცდო პროცესის სისტემა, თუმცა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ამ მიმართულებით უნდა ისწრაფოდეს. მისი თქმით, დასკვნაში მოცემული მე-3 რეკომენდაცია უნდა გადავიდეს რჩევაში.

### **საბჭოს თავმჯდომარემ გამოაცხადა სათათბირო შესვენება**

**დაწყების დრო: 15:07**

**დასრულების დრო: 15:10**

**საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:** შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტისთვის სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 3 200-ით განსაზღვრის საკითხი.

**კენჭისყრის შედეგი:**

მომხრე: 11

წინააღმდეგი: 0

**გადაწყვეტილება:** დაწესებულების მიერ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის განაცხადში ასახული ინფორმაციის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 89-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ბ” ქვეპუნქტის, 90-ე მუხლის პირველი და მე-3 პუნქტების, 91-ე მუხლის მე-9 პუნქტის შესაბამისად, დაკმაყოფილდა დაწესებულების განაცხადი სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდასთან დაკავშირებით და შპს ქართულ-ამერიკულ უნივერსიტეტს სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვრა 3 200-ით .

**რეკომენდაციები:**

1. რეკომენდებულია დაწესებულებამ გადახედოს მის მიერ შემუშავებულ სამიზნე ნიშნულებს პერსონალის მართვის ნაწილში სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის მატების მეთოდოლოგიის შემუშავებისას მედიცინის მიმართულებით და მოიყვანოს შესაბამისობაში;
2. რეკომენდებულია მოხდეს ბიუჯეტის მიზნობრივი გაწერა ფაკულტეტების მიხედვით, რომელშიც აუცილებლად უნდა აისახოს სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაზე გამოყოფილი თანხის ოდენობა;
3. რეკომენდებულია უნივერსიტეტის მხრიდან კლინიკური უნარების სასწავლო ფართში ელექტრონული მართვის და საგამოცდო პროცესის მონიტორინგის სისტემის გაუმჯობესება;
4. რეკომენდირებულია სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდასას გათვალისწინებული იყოს უნივერსიტეტის მიერ შემუშავებული სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გასაზღვრის მეთოდოლოგია.

**რჩევები:**

1. სასურველია უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა გააქტიუროს მუშაობა პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის შეფასების მექანიზმების ეფექტურად გამოყენების მიზნით;
2. სასურველია რომ ომბუდსმენი არ იკავებდეს რაიმე თანამდებობას უნივერსიტეტში, არამედ არჩეულ იქნას სტუდენტთა ჩართულობით;
3. სასურველია პერსონალთან მოხდეს მიზნობრივი შეხვედრები წახალისების მექანიზმის და მათი სამეცნიერო მოღვაწეობის შეფასების ინფორმირებულობისათვის.

**საკითხების განხილვის შემდეგ საბჭო გამოცხადდა დახურულად.**

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების  
ავტორიზაციის საბჭო  
საბჭოს თავმჯდომარე  
შენგელია კახა



უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების  
ავტორიზაციის საბჭო  
საბჭოს მდივანი  
გვენეტაძე გაგა

